

2013 წლის ივლისში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შეიქმნა დროებითი კომისია, რომელიც 7 თვის განმავლობაში მუშაობდა კულტურის პოლიტიკის კონცეფციაზე.

კომისიის შემადგენლობა:

1. ლევან მოსახლიშვილი - იურისტი;
2. ლალი პერტენავა - ხელოვნებათმცოდნე, ხელოვნების კრიტიკოსი;
3. ნინო გუნია-კუზნეცოვა - ევროსაბჭოს კულტურის პოლიტიკის ეროვნული ექსპერტი;
4. მარიამ დვალიშვილი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
5. მანანა თევზაძე - ხელოვნებათმცოდნე;
6. სოფო კილასონია - ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალისტი;
7. თამარ ბოკუჩავა - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

## საქართველოს კულტურის პოლიტიკის კონცეფცია

### შინაარსი

1. შესავალი
2. საქართველოს ფუნდამენტური კულტურული ღირებულებები
  - 2.1. შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლება, სრული დამოუკიდებლობა და კულტურული მრავალფეროვნება
  - 2.2. ენა
  - 2.3. კულტურული მემკვიდრეობა
  - 2.4. ხელოვანი და ხელოვნება
  - 2.5. კულტურათმშორის დიალოგი
3. საქართველოს კულტურის პოლიტიკის ხედვა
  4. საქართველოს კულტურის პოლიტიკის კონცეფციის ძირითადი მიმართულებები
    - 4.1. კულტურის სფეროში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა
    - 4.2. სახელმწიფო ენის საყოველთაო შესწავლა, გავრცელება და გამოყენება
    - 4.3. არსებული კანონმდებლობის დახვეწა, სისტემატიზაცია და ჰარმონიზაცია
    - 4.4. სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და მათი ფუნქციონირების ეფექტიანი სისტემის შექმნა
    - 4.5. კულტურის განვითარება განათლებისა და კვალიფიკაციის ხარისხის ამაღლებით
    - 4.6. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, დაცვა და განვითარება
    - 4.7. ხელოვნებისა და ხელოვანის ხელშეწყობი გარემოს შექმნა
    - 4.8. კულტურის როლის გაზრდა მდგრად განვითარებაში
    - 4.9. საქართველოს კულტურის საერთაშორისო პოლიტიკის განვითარება
    - 4.10. საქართველოს კულტურის სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზი
  5. დასკვნა

## საქართველოს კულტურის პოლიტიკის კონცეფცია

„სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.“

საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლი

### 1. შესავალი

საქართველოს კულტურის პოლიტიკის კონცეფცია არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედება საქართველოში კულტურის პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებასა და მისი შესრულების დაგეგმვას.

ეფუძნება რა საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (შემდგომში „იუნესკო“) პარიზის 2005 წლის 20 ოქტომბრის კონვენციას „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“, კულტურის პოლიტიკის კონცეფცია ადგენს კულტურის პოლიტიკის ღირებულებებსა და ძირითად მიმართულებებს. კულტურის პოლიტიკის კონცეფცია ემსახურება საქართველოს კულტურული იდენტობის განვითარება-შენარჩუნებას ევროინტეგრაციისკენ სწრაფვის კონტექსტში და საქართველოს კულტურის პოტენციალის ჰარმონიულ, მდგრად და შემოქმედებით განვითარებას.

საქართველოს კულტურის პოლიტიკის გარდამავალი პერიოდის კონცეფცია (2014-2016 წლები) ეყრდნობა იუნესკოს მეხიკოს 1982 წლის დეკლარაციაში მოცემულ კულტურის განსაზღვრებას, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სულიერი, მატერიალური, ინტელექტუალური და ემოციური თვისებების სრული კომპლექსის გააზრებას, რომელიც ახასიათებს საზოგადოებას ან სოციალურ ჯგუფს და, ხელოვნებასა და ლიტერატურასთან ერთად, მოიცავს ადამიანთა ცხოვრების წესებს, ადამიანის ძირითად უფლებებს, ღირებულებათა სისტემას, ტრადიციებსა და მსოფლმხედველობას. კონცეფცია ითვალისწინებს კულტურისადმი საერთაშორისო სამართლის უახლეს მიდგომებს და განიხილავს კულტურას, როგორც დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების რესურსს.

გარდამავალი პერიოდის კონცეფციის საფუძველზე იქმნება შემდგომი პერიოდის კულტურის პოლიტიკის ერთიანი სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა, ასევე ხელოვნების სხვადასხვა დარგობრივი სტრატეგია და გეგმა. კულტურის პოლიტიკის კონცეფციის ცვლილებასთან ერთად, ხდება ცალკეული დარგობრივი სტრატეგიებისა და გეგმების განახლებაც.

წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და გაფართოებას, შემოქმედებით ინტეგრაციას და ამ მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

### 2. საქართველოს ფუნდამენტური კულტურული ღირებულებები

#### 2.1 შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლება, სრული დამოუკიდებლობა და კულტურული მრავალფეროვნება

საქართველო აღიარებს, რომ ადამიანს აქვს ნებისმიერი სახის შემოქმედებითი მოღვაწეობის უფლება, თავისი ინტერესებისა და უნარის შესაბამისად. საქართველოს სახელმწიფო არ ერევა შემოქმედებით პროცესში, დაუშვებელია შემოქმედებითი საქმიანობის ცენზურა, შემოქმედებით ნაწარმოებზე ყადაღის დადება და მისი გავრცელების აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ლაზავს სხვა ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და რასობრივ შუღლს, ქადაგებს ომსა

და ძალადობას.

საქართველო უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანისა და ჯგუფის კულტურული თვითმყოფადობისა და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას.

კულტურული მოღვაწეობა საქართველოში არის ადამიანის შეუვალი უფლება, განურჩევლად მისი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.

## **2.2. ენა**

კულტურა გადაიცემა ენის საშუალებით. ქართული ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა. საქართველოს სახელმწიფო ზრუნავს სახელმწიფო ენის საყოველთაო სწავლებაზე, რათა საქართველოში მცხოვრებმა ყველა პირმა შეძლოს სამოქალაქო ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვა. საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ და ეროვნულ ჯგუფებს აქვთ უფლება, სახელმწიფო ენის სწავლასთან ერთად, შეინარჩუნონ და განავითარონ საკუთარი ენა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების გამოვლენას.

## **2.3 კულტურული მემკვიდრეობა**

კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებულია ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ისტორიული მნიშვნელობის მქონე მხატვრულ - ესთეტიკური, სამეცნიერო, ტექნოლოგიური, მემორიალური, სოციალური და სხვა ღირებულების მქონე მატერიალური (უძრავი და მოძრავი) და არამატერიალური კულტურის ძეგლები.

კულტურულ მემკვიდრეობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ინდივიდუალურ და საერთო იდენტობის ფორმირებაში, ხელს უწყობს სოციალურ და ტერიტორიულ ერთობას და აქვს ეკონომიკური ღირებულება. აუცილებელია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვნად შესწავლა, შენარჩუნება და გადაცემა მომავალი თაობებისათვის. კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებების სრულად წარმოსაჩენად საჭიროა მისი გამოვლენა, დაცვა, განვითარება და მდგრადი გამოყენება.

საქართველოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია.

## **2.5 ხელოვნება და ხელოვანი**

საქართველო აღიარებს ხელოვნებას, როგორც კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ხელოვნება, როგორც საზოგადოების შემოქმედებითი, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კაპიტალი, სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიული რესურსია და მეცნიერებისა და განათლების პარალელურად განიხილება.

ხელოვანი წარმოადგენს ფიზიკურ პირს, რომელიც ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად აყალიბებს იდეებს, ქმნის ღირებულებებსა და კულტურას. მხატვრული შემოქმედება ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ღირებული უნარია.

## **2.5 კულტურათაშორისი დიალოგი**

კულტურათაშორისი დიალოგი, ადგილობრივი თუ საერთაშორისო მასშტაბით, წარმოადგენს შესაძლებლობას ხელოვნებისათვის და ასევე კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებისათვის - დაამყარონ კომუნიკაცია, გაიზიარონ

გამოცდილება და ჩაერთონ მრავალმხრივ საკომუნიკაციო პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურათაშორისი დიალოგი ევროინტეგრაციის სტრატეგიული მიმართულებისათვის და მშვიდობისა და ეროვნებათა შორის ნდობის შექმნის პროცესისათვის, ასევე კულტურათა ურთიერთგამდიდრებისა და განვითარებისათვის.

### **3. საქართველოს კულტურის პოლიტიკის ხედვა**

კულტურის პოლიტიკის კონცეფცია საქართველოს კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და განვითარებას განიხილავს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა კონტექსტში: **„კულტურა განვითარების, შემოქმედებითი ცხოვრებისა და კეთილდღეობისათვის“**.

ამ ხედვის მიღწევა სცდება რომელიმე უწყების კომპეტენციას. ამდენად, კონცეფცია წარმოადგენს იმ იდეალს, რომლის მიღწევაც შესაძლებელია სხვადასხვა უწყებათა ერთობლივი ძალისხმევით.

### **4. საქართველოს კულტურის პოლიტიკის კონცეფციის ძირითადი მიმართულებები**

საქართველოს ხელისუფლება აცნობიერებს, რომ კულტურის სფეროს განვითარება ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა.

საქართველოს გარდამავალი პერიოდის კულტურის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს არსებული ვითარების ყოვლისმომცველ ანალიზს. ხედვიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურის პოლიტიკა მოიცავს ათ სტრატეგიულ მიმართულებას:

#### **4.1 კულტურის სფეროში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვის უზრუნველყოფა**

კულტურული მოღვაწეობა საქართველოში არის ადამიანის შეუვალი უფლება. საქართველოს მოქალაქეები თანასწორნი არიან კულტურულ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი თუ სხვაგვარი კუთვნილებისა. აქედან გამომდინარე, საქართველოს კულტურის პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ყოველი ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის უფლების სათანადო რეალიზება, რათა ყველამ შეძლოს ნებისმიერი სახის შემოქმედებითი მოღვაწეობა, თავისი ინტერესებისა და უნარის შესაბამისად; თუ ეს არ შელახავს სხვა ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ასევე საფრთხეს არ შეუქმნის სახელმწიფო უშიშროებას, უსაფრთხოებასა და კონსტიტუციურ წყობას.

საქართველოს მიერ გატარებულმა კულტურის პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყოველ ადამიანს მიეცეს კულტურული თვითმყოფადობის დაცვისა და შემოქმედებითი გამოხატვის თავისუფლად არჩევის საშუალება. ყველასათვის თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი კულტურული ფასეულობებით სარგებლობის უფლება. სახელმწიფომ ყოველ ადამიანს უნდა მისცეს შესაძლებლობა, ეზიაროს კულტურულ ფასეულობებს, მიიღოს სახელოვნებო განათლება, ისარგებლოს სახელმწიფო ბიბლიოთეკებით, მუზეუმებით, არქივების ფონდებითა და სხვა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპის - კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა - განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებულია ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, როგორცაა საკუთარი აზრის გამოთქმა, ინფორმაციისა და კომუნიკაციის თავისუფლება და ასევე ცალკეულ პირთა შესაძლებლობა, აირჩიონ კულტურული თვითგამოხატვის ფორმა.

საქართველოს კულტურის პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს, რათა შექმნან, აწარმოონ, გაავრცელონ, გაანაწილონ და თავიანთი ხელმისაწვდომი გახადონ კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი ფორმები. ამასთან, კულტურის პოლიტიკამ სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის განსაკუთრებულ პირობებსა და მოთხოვნილებებს.

ამ მიმართულებით საქართველომ უნდა წახალისოს და მხარი დაუჭიროს კულტურული თვითგამოხატვის

მრავალფეროვნებას. კერძოდ, შექმნას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები, მოახდინოს კულტურული გაერთიანებებისა და მათი მუშაობის მხარდამჭერი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი წვლილისა და როლის აღიარება და გაატაროს სხვა თანამდევნი ღონისძიება, რათა ადამიანებს ხელი მიუწვდებოდეთ მრავალფეროვანი კულტურული თვითგამოხატვის სხვადასხვა ფორმაზე, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

საქართველომ უნდა მოახდინოს კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების პატივისცემის პროპაგანდა. კულტურის პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობა, მოხალისეობის პოპულარიზაცია და ყოველმხრივი ხელშეწყობა, განსაკუთრებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შენახვისა და განვითარების საქმეში.

#### **4.2 სახელმწიფო ენის საყოველთაო შესწავლა, გავრცელება და გამოყენება**

იუნესკოს განმარტებით, სახელმწიფო ენა წარმოადგენს ამა თუ იმ სახელმწიფოს მაფორმირებელ სიმბოლოს, რომელიც ემსახურება პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ინტეგრაციას.

ენა არის ეროვნული კულტურის ფუნდამენტური ნაწილი. მისი განვითარებისათვის აუცილებელია, სახელმწიფომ იზრუნოს, რომ ქართული ენა გახდეს შიდა ინტერკულტურული და საერთაშორისო ინფორმაციის მიმოქცევის ძირითადი საშუალება.

სახელმწიფო ენის სათანადო შესწავლა და გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ მრავალენოვან სახელმწიფოში, როგორც საქართველოა. სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, საყოველთაო შესწავლასა და გავრცელებას.

ენა საუკეთესო ინსტრუმენტია საერთო კულტურული ფასეულობების ფორმირებისა და გავრცელებისთვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოში თანაბარი კულტურული გარემოს შექმნას. სახელმწიფო ენის საყოველთაო ცოდნა განაპირობებს ერთიანი კულტურული დისკურსის განვითარებას, ადამიანის თვითგამოხატვის უფლების განხორციელებასა და ღია საზოგადოების შექმნას. სახელმწიფო ენის საყოველთაო ცოდნა ზრდის მოსახლეობის კულტურულ პროცესში მონაწილეობის, განათლებისა და ინფორმირებულობის ხარისხს. სახელმწიფო ენის საყოველთაო ცოდნის მაჩვენებლის ზრდა ხელს შეუწყობს ქართული ენის, როგორც კულტურის ფასეულობის, განვითარებასა და გამდიდრებას.

კულტურის პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ისეთ შესაბამის ღონისძიებათა ერთობლიობის გატარებაზე, რომელიც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს სახელმწიფო ენის საყოველთაო ა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მის გამოყენებას, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შორის.

#### **4.3 არსებული კანონმდებლობის დახვეწა, სისტემატიზაცია და ჰარმონიზაცია**

საქართველოს კანონმდებლობა კულტურის სფეროში საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა იგი ვეღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და სტანდარტებს. შესაბამისად, აუცილებელია არსებული კანონმდებლობის დახვეწა, სისტემატიზაცია და მისი საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა, მაგალითად: აუცილებელ განახლებას საჭიროებს საქართველოს კანონები „კულტურის შესახებ“, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“, „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“, „პროფესიული თეატრების შესახებ“, მრავალი ცვლილება და დამატება განსახორციელებელი სხვა ნორმატიულ აქტებშიც, რომლებიც ნაწილობრივ არეგულირებს კულტურის სფეროს თანამდევ ურთიერთობებს. ასეთ აქტებს მიეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საგადასახადო კოდექსი და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია ახალი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების მიღებაც, რომლებიც დახვეწს კულტურის სფეროს კანონმდებლობას და საქართველოს სახელმწიფოს დაეხმარება ევროპულ საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზაციაში.

მაგალითად, აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების პრივატიზების წესების დახვეწა, საკონსტიტუციო შეთანხმების (კონკორდატის) დებულებების განვრცობა სხვა სამართლებრივ აქტებში, ეკლესიის საკუთრებაში არსებული

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კონსერვაციის საკითხებზე საეკლესიო და ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლობისა და უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტის შემუშავება, მემკვიდრეობის კატეგორიზაციისა და ინვენტარიზაციის წესის დახვეწა, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ახლებური რეგულაცია, ვიზუალური ხელოვნებისა და თავისუფალ ხელოვანთა საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შემოღება, საქველმოქმედო კანონმდებლობის სრულყოფა, ასევე, განათლების სისტემის ყველა საფეხურის მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ქვემდებარე აქტებში სახელოვნებო განათლების ერთიანი პოლიტიკის კუთხით ცვლილებების განხორციელება.

საქართველოს კულტურის პოლიტიკა, განსაკუთრებით კი გარდამავალ პერიოდში, მიმართული უნდა იყოს კანონმდებლობის დახვეწისა და ჰარმონიზაციისაკენ, ვინაიდან სათანადო საკანონმდებლო ბაზის არსებობის გარეშე შეუძლებელია კულტურის სფეროში სწორი პოლიტიკის წარმართვა.

#### **4.4 სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუციების განვითარება და ფუნქციების ეფექტიანი სისტემის შექმნა**

საქართველოს მოქალაქეთა მტკიცე ნებაა, განავითარონ თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოება, განამტკიცონ კანონის უზენაესობა და შექმნან ყოველი მოქალაქის კანონის წინაშე თანასწორობაზე დაფუძნებული, გამჭვირვალე, ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული მმართველობის სისტემა, რომელიც ყველა მოქალაქისათვის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, კულტურის განვითარების, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავი მონაწილეობის, კულტურული თვითმყოფლობის გამოვლინებისა და გამდიდრების, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებისა და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავების გარანტიაა. ასეთი პოლიტიკური სისტემა ხელს უწყობს ქვეყნის კულტურის სფეროს განვითარებას.

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას, მათ შორის კულტურის სფეროშიც.

სახელმწიფო ინსტიტუციების განვითარება და მათი ეფექტიანი სისტემის შექმნა საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა ეს წარმოუდგენელია სამოქალაქო და კერძო სექტორებთან თანამშრომლობის გარეშე. სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ინსტიტუტების ისეთი განვითარება და ეფექტიანი სისტემის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება:

- სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენაზე;
- კულტურის, როგორც სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და იდენტობის მაფორმირებელი ინსტრუმენტის დამკვიდრება-პოპულარიზაციაზე;
- შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობაზე;
- ხელოვნების ტრადიციული დარგების განვითარებაზე;
- ინოვაციური პროცესების განვითარებასა და ხელშეწყობაზე;
- საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვაზე;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამების და სამოქმედო გეგმების შექმნაზე, ასევე ურთიერთობათა პრინციპების/თანამშრომლობის პირობების დახვეწაზე, წილობრივი მონაწილეობის სახეების გამრავალფეროვნებაზე, დაგეგმარების, სათანადო სახსრების მოძიებისა და შემოქმედებითი რესურსების გამოყენების პრინციპებზე;
- კულტურულ ფასეულობათა შექმნისა და გავრცელების სფეროში მონოპოლიზმთან ბრძოლაზე და ამ მიზნით კულტურის არასახელმწიფო ორგანიზაციების, საწარმოების, ასოციაციების, შემოქმედებითი კავშირების, გილდიებისა და სხვა კულტურული გაერთიანებების საქმიანობის ხელშეწყობაზე;
- სახელმწიფო კულტურული პოლიტიკისა და პროგრამების განსაზღვრაზე, მათი შესრულების გარანტიების შექმნაზე, სათანადო სახსრების მიძიების ან გამოყოფის გზით;
- თვითმმართველი ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინებასა და მათთვის დახმარების გაწევაზე;
- კულტურის სფეროში არსებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფუნქციების ეფექტიანი სისტემების შექმნაზე;

- განათლების სისტემაში კულტურის კომპონენტის გაძლიერებასა და სახელოვნებო განათლების განვითარებაზე.

კულტურის სფეროში არსებული ინსტიტუციების განვითარება და მათი ეფექტიანი სისტემის შექმნა წარმოუდგენელია შესაბამისი დაფინანსების მექანიზმისა და სახსრების გარეშე. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დაფინანსების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნულ პრინციპებზე დაფუძნებულ ეფექტიანი ინსტიტუციების შექმნას.

#### **4.5 კულტურის განვითარება განათლებისა და კვალიფიკაციის ხარისხის ამაღლებით**

საქართველოს ხელისუფლება მოწოდებულია, გადადგას დროული და ეფექტიანი ნაბიჯები სახელოვნებო და კულტურის სფეროს განათლების სისტემის გაუმჯობესებისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

საქართველო აგრძელებს სახელოვნებო განათლების სისტემის რეფორმირებას და პასუხისმგებლობას იღებს განათლებისა და კულტურის სფეროთა ჰარმონიული და თანამშრომლობითი პოლიტიკის გატარებაზე სახელოვნებო განათლების სფეროში ერთიანი თანმიმდევრული სტრატეგიის შემუშავებით.

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან კონსულტაციებით შემუშავებული ერთიანი სტრატეგიის საფუძველზე გაგრძელდება შესაბამისი ინსტიტუციების, სტრატეგიული დაგეგმარების, ხარისხის მართვის და მონიტორინგის პროგრამების განვითარება.

სახელოვნებო განათლებაში მნიშვნელოვანია ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე, ასევე არაფორმალური განათლების სისტემის გამართვა. კულტურისა და ხელოვნების სფეროში განათლების ხარისხის ამაღლებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით; გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა, თანამედროვე მეთოდოლოგიების შემუშავება-დანერგვა, სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა, მრავალმხრივი საერთაშორისო კავშირების განვითარება, პედაგოგიური კადრების უწყვეტი კვალიფიკაციის პროგრამების უზრუნველყოფა, სასწავლო და კვლევით პროცესში ციფრული ტექნოლოგიების საყოველთაო დანერგვა - გამოყენება და სხვა. ამ მიმართულებით პრიორიტეტულია უმაღლესი სასწავლებლის დონეზე კულტურის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის პროგრამების შექმნა, დანერგვა და გაუმჯობესება.

#### **4.6 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, დაცვა და განვითარება**

საქართველო ესწრაფვის, იუნესკოსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, დაიცვას და განავითაროს ქვეყნის უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა, რაც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ მიმართულებით აუცილებელია გატარდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკა, რომლის მიზანია საქართველოს მატერიალურ და არამატერიალურ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული მემკვიდრეობის გამოვლენა, შესწავლა, დაცვა და მდგრადი გამოყენება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემა უნდა გახდეს ღია და ხელმისაწვდომი საზოგადოების ფართო ფენებისათვის. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საზოგადოების მონაწილეობა და ჩართულობა მემკვიდრეობის დაცვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოხდეს „საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ“ ევროპის საბჭოს ფაროს კონვენციის იმპლემენტაციისაკენ კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება და შესრულება. კულტურული მემკვიდრეობა, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, უნდა აისახოს ყველა სფეროს პოლიტიკის, განსაკუთრებით კი განათლების, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სტრატეგიულ დოკუმენტებში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მდგრადი განვითარებისათვის უნდა განხორცილდეს:

- კულტურული ლანდშაფტების კონსერვაციისა და მართვის გეგმების შემუშავება;
- არქეოლოგიური ძეგლებისათვის მართვის გეგმების შემუშავება;
- ისტორიული ქალაქებისა და დასახლებების განაშენიანების რეგულირების გეგმების

შემუშავება და დამტკიცება;

- კულტურული მემკვიდრეობის სრული ინვენტარიზაცია და ციფრული რეესტრის შექმნა;
- საგანმანათლებლო და მედიაპროგრამების შექმნა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- მუზეუმების დეცენტრალიზაციასა და რეორგანიზაციაზე დაფუძნებული სამუზეუმო რეფორმის განხორციელება;
- საგადასახადო შედეგების შემოღება კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციისა თუ დაცულ ტერიტორიებზე ინვესტირების მსურველთათვის;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების პრივატიზების წესების დახვეწა;
- ინვესტიციების განხორციელების რეგულირების შემოღება კულტურულ მემკვიდრეობაში;
- შემუშავდეს არამატერიალური კულტურის მემკვიდრეობის სახელმწიფო პოლიტიკა;
- კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური სარგებლიანობის პროგრამების შემუშავება.

#### 4.7 ხელოვნებისა და ხელოვანის ხელშეწყობი გარემოს შექმნა

საქართველო ესწრაფვის განავითაროს ხელოვნება, როგორც კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. საქართველო მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ხელოვანს, როგორც კულტურის პროდუქტის ძირითად შემოქმედს.

კულტურის პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ხელოვნების შესაბამისი დარგების სტიმულირებით კულტურული მრავალფეროვნების, ჰარმონიული ურბანული განვითარებისა და სოციალური ერთობის მიღწევას.

ამ მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ხელოვნების მხადაჭერი პროგრამების განახლება და განვითარება არსებული გამოწვევების გათვალისწინებით;
- ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა;
- სახელოვნებო ინციატივების წახალისება და შესაბამისი სივრცეების შექმნა;
- ხელოვნების პროდუქტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით, კულტურული, ასაკობრივი და სპეციფიკური საჭიროების მქონე პირთათვის;
- ხელოვნების კრიტიციზმის განვითარების სტიმულირება;
- კულტურასა და ხელოვნებაზე ორიენტირებული მედია პროექტების მხარდაჭერა;
- ხელოვნების სფეროში მოღვაწე პირების როლისა და სტატუსის განსაზღვრა;
- ხელოვანთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;
- ხელოვანისათვის, როგორც ფიზიკური პირისათვის, საგადასახადო და სხვა შედეგების შემოღება;
- საერთაშორისო პროგრამებში ხელოვანთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.

#### 4.8 კულტურის როლის გაზრდა მდგრად განვითარებაში

საქართველო აღიარებს კულტურის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის მდგრად განვითარებაში. კულტურის პოლიტიკის მიზანია, მოახდინოს კულტურული ღირებულებების ეფექტიანი გამოყენება ქვეყნის სოციალური გარემოსა და ეკონომიკის სასიკეთოდ. ამისათვის საჭიროა:

- შემუშავდეს უწყებათაშორისო თანამშრომლობით შემოქმედებითი ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებანი და ინსტრუმენტები;
- შეიქმნას შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების განვითარებისთვის ხელშეწყობი გარემო „მწარმოებლიდან - მომხმარებლამდე“;



- განისაზღვროს, შესწავლილი და დანერგილი იქნეს შემოქმედებითი პროდუქციისა და სერვისების, მხატვრული ღირებულებების, ბაზრის ტენდენციები და მიმართულებები;
- ხელი შეეწყოს ქართული შემოქმედებითი პროდუქციისათვის საერთაშორისო ბაზარზე ადგილის დამკვიდრებას;
- მოხდეს კულტურული ინდუსტრიების, როგორც ზოგადად კულტურის სფეროს ნაწილის, სტატისტიკის ევროპული და სხვა საერთაშორისო სტანდარტების (იუნესკო, ევროსტატი) გაზიარება და პრაქტიკაში დანერგვა;
- ხელი შეეწყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას შემოქმედებითი ეკონომიკის შესახებ;
- განვითარდეს კულტურის, ეკონომიკისა და სხვა სექტორების თანამშრომლობა შემდეგი მიმართულებებით: კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრია, ურბანული კულტურული მემკვიდრეობის რევიტალიზაცია და კულტურული ტურიზმი.

#### 4.9 საქართველოს კულტურის საერთაშორისო პოლიტიკის განვითარება

საქართველოს საერთაშორისო კულტურული პოლიტიკა ეფუძნება საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას, მდიდარი კულტურული და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენით ხელი შეუწყოს ქვეყნის პოზიტიური იმიჯის დამკვიდრებას, რაც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს მსოფლიო კულტურულ პროცესებში საქართველოს ჩართულობის უზრუნველყოფას.

საქართველოს საერთაშორისო კულტურული პოლიტიკის პირველადი დანიშნულებაა ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

განსაკუთრებული საფრთხე ექმნება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. საქართველომ უნდა გააგრძელოს აქტიური მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩასართავად და საერთაშორისო სამართლის მექანიზმების ასამოქმედებლად ამ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება იუნესკოსა და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობას, კონკრეტულად კი ჰააგის კონვენციისა და მისი მეორე ოქმის დებულებების ამოქმედებას.

ქართული კულტურის პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბით საჭიროებს თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებას შესაბამისი პროგრამებისა და ქმედებების განხორციელების გზით.

საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ქართული დიასპორების ხელშეწყობა კულტურული იდენტობის შენარჩუნების მიზნით და, მეორე მხრივ, დიასპორების ჩართვა ქართული კულტურის პოპულარიზაციაში.

კულტურის საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოს ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. ამასვე ადასტურებს ევროპის კავშირთან ასოცირების შეთანხმება, რომლის თანახმად, საქართველოს აღებული აქვს შემდეგი ვალდებულებები :

- კულტურის სფეროში თანამშრომლობა და კულტურული გაცვლები.
- ხელოვნებისა და ხელოვანთა მობილობა და კულტურის სფეროს ინსტიტუციური გაძლიერება.
- კულტურათმშორისი დიალოგი.
- კულტურის პოლიტიკის შესახებ დიალოგი.
- თანამშრომლობა იუნესკოსთან, ევროპის საბჭოსთან და სხვა საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში, რათა ხელი შეეწყოს კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ღირებულებების სათანადოდ განვითარებას.

#### 4.10 საქართველოს კულტურის სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზი

საქართველოს კულტურის პოლიტიკის კონცეფციის ზემოაღნიშნული მიმართულებები უნდა განხორციელდეს სათანადო კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე, რაზე დაყრდნობითაც შეიქმნება ქვეყნის კულტურის პოლიტიკის სტრატეგიული

გეგმა (შემდგომში „სტრატეგია“).

სტრატეგია დაეფუძნება სახელმწიფოსა და მის კულტურაში არსებული სიტუაციის ანალიზს, რომელიც, თავის მხრივ, განხორციელდება უწყებათაშორისი სისტემური და ინტერსექტორალური კვლევების საფუძველზე, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

კულტურის სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზის გარეშე შეუძლებელია საქართველოს კულტურის პოლიტიკის სწორად წარმართვა, შესაბამისად, კვლევა უნდა იქცეს საქართველოს კულტურის პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად.

## 5. დასკვნა

საქართველო პირველად აქვეყნებს კულტურის პოლიტიკის კონცეფციას, რომლის მიზანია, შეინარჩუნოს ქართული ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვანი უმდიდრესი ტრადიციები და კულტურის სფეროში მსოფლიოს ცივილიზებული ერების გამოცდილება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და სხვა სახელმწიფო უწყება თავისი სფეროსა და კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავენ და რეგობრივ სტრატეგიას, სტრატეგიულ გეგმას, რომელიც დაფუძნებული იქნება ცოცხალი კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ბალანსის დაცვაზე, ინოვაციური მიდგომების, კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების, კულტურასა და განვითარებას შორის კავშირის აღიარების პრინციპებზე.